

## ❖ კაზუსი

2014 წლის 7 მარტს საქართველოს სახელმწიფომ ხელი მოაწერა საერთაშორისო ხელშეკრულებას „ზოგადი განათლების შესახებ“, რომლის თანახმად სკოლებში სწავლების საფეხურად განსაზღვრული იყო 12 წლიანი პერიოდი. ხელშეკრულების ხელმოწერი სახელმწიფოები ვალდებული იქნებოდნენ როგორც საჯარო, აგრეთვე, კერძო სკოლებში დაეწესებინათ 12 წლიანი სასკოლო საფეხური. აღნიშნული რეგულაცია წინააღმდეგობაში მოდიოდა 2015 წლის ორგანულ კანონთან „განათლების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებდა მხოლოდ 11 წლიან სწავლების ეტაპს. 2015 წლის 6 თებერვალს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება „სასკოლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“. მთავრობის დადგენილების თანახმად, სასწავლო პროგრამები უნდა დაემტკიცებინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - განათლების აკრედიტაციის სააგენტოს. 2015 წლის 6 თებერვლის დადგენილება წინააღმდეგობაში მოვიდა „სასკოლო პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივლისის ბრძანებასთან. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივლისის ბრძანება სასკოლო პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცების უფლებამოსილებას ანიჭებდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - უწყვეტი განათლების ცენტრს.

იმის გათვალისწინებით, რომ საკითხი იწვევდა ბუნდოვანებას არასამთავრობო ორგანიზაციამ „ცოდნის ცენტრი“ მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მოითხოვა ინფორმაცია იმ პირთა საიდენტიფიკაციო მონაცემების შესახებ, რომლებმაც მოამზადეს „სასკოლო პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივლისის ბრძანების პროექტი. ამასთან, „ცოდნის ცენტრი“ დამატებით ითხოვდა ინფორმაციას საჯარო სამართლის იურიდიულ პირის - უწყვეტი განათლების ცენტრის მიმდინარე წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების ოდენობის შესახებ.

- განსაზღვრეთ და დაასაბუთეთ რომელი სამართლებრივი აქტით უნდა დარეგულირდეს სკოლებში სასკოლო სწავლების საფეხურები.
- განსაზღვრეთ და დაასაბუთეთ რომელი სამართლებრივი აქტით უნდა დარეგულირდეს სასწავლო პროგრამების დამტკიცების საკითხი.
- განსაზღვრეთ და დაასაბუთეთ ზემოაღნიშნულ კაზუსში რომელია საკანონმდებლო, ნორმატიული, კანონქვემდებარე ნორმატიული და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები.
- განსაზღვრეთ და დაასაბუთეთ რა ტიპის ინფორმაციები მოითხოვა არასამთავრობო ორგანიზაციამ „ცოდნის ცენტრი“ და ჰქონდა თუ არა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აღნიშნული მონაცემების მიწოდების უფლება.
- განსაზღვრეთ და დაასაბუთეთ წარმოადგენს თუ არა არასამთავრობო ორგანიზაცია „ცოდნის ცენტრი“ და საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - უწყვეტი განათლების ცენტრი ადმინისტრაციულ ორგანოს.